

ქალაქ ქუთაისში, ძობუაშვილის ქუჩა N10ა საცხოვრებელი სახლის N2 ბინაზე,  
მოქალაქე ციალა მჭედლიშვილისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და  
მოწმობის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“  
54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლებისათვის  
გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და  
არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი  
ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის  
წესის დამტკიცების შესახებ“ , საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N189  
დადგენილებისა და მოქ. ციალა მჭედლიშვილის წარმომადგენლის (სანოტარო მოქმედების  
რეგისტრაციის ნომერი N141139892) ჟანა ლეკვეიშვილის პ/ნ N60002011233 განცხადებების  
(Nმ-7853 06.10.14; Nლ-8215 17.10.14), თანახმად,

ვბრძანებ:

1. ქალაქ ქუთაისში, ძობუაშვილის ქუჩა N10ა საცხოვრებელი სახლის N2 ბინაზე  
საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ციალა მჭედლიშვილს / პ/ნ N01015000225/.

2. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის ეკონომიკური განვითარებისა და  
ადგილობრივი თვითმმართველობის ქონების მართვის სამსახურმა /ი. გაბრიჭიძე/ ქალაქ  
ქუთაისში, ძობუაშვილის ქუჩა N10ა საცხოვრებელი სახლის N2 ბინაზე, საერთო  
ფართობი 43,58 კვ.მ, მათ შორის საცხოვრებელი ფართობი 19,60 კვ.მ. დამხმარე ფართობი  
23,98 კვ.მ. მოქალაქე ციალა მჭედლიშვილის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების  
მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის  
მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, კონსტანტინე ქავთარაძემ.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით ქუთაისის  
საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/ მისი გაცნობიდან ერთი თვის  
ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი

შოთა მურდულია